



Maid in Tiflis



გაერ სულაქაურის
გამომცემლობა

აკა მორჩილაძე

MAID IN TIFLIS

ტრილოგია

მეორე გამოცემა, 2019

რედაქტორი **თეა ქიტოშვილი**

ყდის დიზაინი **თამაზ ვარვარიძე**

ტექნიკური დიზაინი **ლადო ლომსაძე**

რომანი © აკა მორჩილაძე, 2007

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007, 2019

ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

დავით აღმაშენებლის 150, 0112 თბილისი

ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65

ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-885-7

Aka Morchiladze

MAID IN TIFLIS

Novel

Second edition, 2019

Text © Aka Morchiladze, 2007

Georgian edition © Sulakauri Publishing, 2007, 2019

All Rights Reserved.

Cover design by Tamaz Varvaridze

Published by Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

შინაარსი

ორი სიტყვა გამგრძელებლისთვის	5
კარი პირველი	
სინდბადის უკანასკნელი მოგზაურობა	9
კარი მეორე	
ნოველები სროლათა შესახებ	75
კარი მესამე	
განძის კუნძული	119
კარი მეოთხე	
სევდიანი ქურთუკი და ქალი წიგნების ოთახში	183
კარი მესამე	
პლენანოველი მოგელას თავგადასავალი და შირაზის ვარდი	241
კარი მეექვსე	
ჩენი ძმების თავგადასავალი	287
კარი მეშვიდე	
ხითხითა	329
კარი მერვე	
მალულა თამარა შემოფარე ნიავი	363
კარი მეცხრე	
როგორც ზღვის სველი კენჭები	413
კარი მათე	
ალექსანდრა პალერმო	451
კარი მეთერთმეტი	
დანიელა	475
კარი მეთორმეტი	
კარგია, კარგია, კარგიაჰ...	515

ორი სიტყვა გამგრძელებლისთვის

თორმეტი პატარა წიგნისგან შედგენილი კრებული წამკითხველ ადამიანებს ორი გაუჩინარებული მეგობრის, ბარნოველი ლევიკოს და პლესხანოველი მოგელას თავგადასავალს მოუთხრობს.

ოღონდაც, ამ ერთიანი ამბის შემკინძავს ერთი უხერხული საქმე მოსვლია, რახანლა ამბები მელნით ჰქონია ნაწერი. ერთხელ ამათი კითხვისას მაგიდასთანვე დასძინებია, მშფოთვარე ძილი სცოდნია ჯდომის დროს, მაგიდაზე შემოდგმულ, წითელღვინიან ბოთლისთვის ხელი გაუკრავს და არც გაჰღვიძებია. უდენია ღვინოს ნაქცეული ბოთლიდან, დადინებია რვეულებსა და ნაწერი კარგად ჩაუშავღვინოებია, განსაკუთრებით კი შეუტკბია ღვინოს ბოლო რვეული, რახანლა იგი ქვეშიდან დებულა; იმდენად შეუტკბია, რომ მთლად შეუღბია და შემდგენს რომ გაუღვიძია, ამინდი კარგი ყოფილა, ოღონდ ნაწერი – ნახდენილი.

შემდგენს ბევრი არ უნაღვლია, დაუტყვია, რომ ამ ჩაღვინებული, სხვანაირად კი, გამქრალი ადგილების ხელახლა დამწერი აღარ იყო და უფიქრიან, ასე იყოსო, რახან ასე განწესდაო; თანაც კიდევ, თუკი გამომცემელი ხელს მოჰკიდებს ამ წიგნსო, იმასაც ვეტყვი, რომ ღვინის ადგილების გვერდები ცარიელი დატოვოს, ვითარცა წამხდარი ნაშრომისა და ნაჯაფის შესხენებო.

თუმცაღა, მკითხველისთვის ეს საჯავრო არ უნდა იყოს: მას შეუძლია გამოტოვებულ ადგილებში თავადვე ჩასწეროს

ამბები: თუკი გადასწყვეტს, რომ მათი მიმდინარეობის მულამა შეუტყვია ამ თორმეტ წიგნში.

შიგ ჩანერილობა და გამგრძელებლობა ისედაც ქართული წიგნების ძველი წესია და შემდგენელს კიდევ გაეხარდა, ყველაფერი ნამდვილქართული და ერთიანიაო, ღვინოცაო, მისი დაქცევაცაო, შემდგენლისგან ხელახლა დაწერის ლაღად უარყოფაცაო და გამგრძელებლის სურვილი, თავადაც მიჰბლანდ-მოჰბლანდოს ბარნოველი ლევიკოსა და პლახანოველი მოგელას ამბავიო.

მე მგონია, რომ ადამიანის ტვინი სხვენსა ჰგავს, რომელიც შეგიძლია რაგინდარა ნივთებით გამოავსო. სულელი ყველაფერს იქ ეზიდება, ისე, რომ რაც მართლა სჭირდება, ის უსარგებლო ნივთებს შუაა გაკვეთებული და მისი გამოღება და მოხმარა ჭირს.

არტურ კონან დოილი, ალისფერი კვალი

ზოგჯერ ძალიან მიხარია, რომ არსებობს სამყარო, რომელიც პირადად ჩემია და მეტი არავისი. იმ სამყაროს ამბავი: თავგადასავლები, ხიფათი, ბედნიერება მხოლოდ ჩემია. იქ მოწმეები არ არის. არც ვალდებულებები.

გრემ გრინი, ჩემი სამყარო

ჩვენი წარმოდგენები და ჩვენი სიზმრები სამუდამოდ იპყრობენ მესხიერებას და ამის შემდეგ ჩვენი წარმოსახვის ნამდვილობისა გვჯერა, ისე, რომ ჩვენი ტყუილების სინამდვილედ გადაკეთება აღარ გვჭირდება.

ლუის ბუნუელი, ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა

ზოგიერთი მათგანი, ვისაც მოჩვენებებისა სჯერა, მიიჩნევს, რომ ისინი მოხეტიალე სულები არიან, რომლებმაც სიკვდილის შემდეგ მოსვენება ვერ ჰპოვეს.

ენციკლოპედიური განმარტებიდან

იაფი ნიგნების დამწერი ვარ,
დეიდა, ბიძია, ნაიკითხავთ ამ ჩემს ნიგნს?
ვაიმე, რამდენ ხანს ვწერდი,
ეგება ჩახედოთ მაინც,
სხვა ნიგნის მიხედვით დავწერე,
იქ ლირი ჰქვია გამირს,
სამუშაო მჭირდება და ვწერ ასეთ ნიგნებს,
იაფი ნიგნების დამწერი ვარ.

ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, იაფი ნიგნების დამწერი

Maid in Tiflis

სინდბადის უკანასკნელი მოგზაურობა

სავსე ფიქრებით, გახსენებებით,
მოჩვენებებითა და საიმპერიო ზაკუსკეულით



ის ვილაც ქალ(ებ)ი

1.

პლენანოველ მოგელას მზეს მიფიცხება უყვარდა ხოლმე. შემოიტრიალებდა ქუდს, მოირგებდა სათვალეს, წამოინევიდა სახელოებს, შემოაწყობდა ფეხებს მეორე სკამზე და თვალებს მილულავდა.

მზე ამ ადგილას იყო მოულოდნელად ტკბილი და ამხანაგური. არ იჩხვლიტებოდა და ჰქონდა უნარი, რომ მოჰფერებოდა მოქალაქეს ისე, როგორც ხავერდის ნაჭერი – ძველ ავეჯს.

ეს იყო „სიტი პიაცას“ სასტუმროს წინ, კაფეს ტერასაზე: გზის გადაღმა კი განთქმული ძველი პლაჟების ქვიშები იწყებოდა. ამიტომ, ტერასაზე გემრიელად მომჯდარი და მთვლემარე პლენანოველი მოგელა ქუჩაზე გადმომრბენ გოგოებს თუ გაუხელდა ხოლმე თვალს, თორემ ისე, შეეძლო მეორე მოშიებამდე მჯდარიყო გარინდული და ჭაობისფერ შუშებქვეშ თვალმილულული.

ერთი ჩვეულებრივი შეხედვით, ვერავინ შეატყობდა, სად დაეხეტებოდა ამ დროს პლენანოველი მოგელა: სიზმარსა და ცხადს ერთმანეთში ურევდა, ცხოვრებისას ფიქრობდა თუ უსიზმრო კაცი იყო და უბრალოდ, რიგითი და მოქანცული ადამიანივით თვლემდა ხოლმე ტერასაზე.

მას ვერავინ ამჩნევდა ამ ქალაქში და ასე ჯობდა: იმიტომ გადმოხვენილიყო სანტა სიტისში, რომ ვერავის შეემჩნია. პლენანოველი მოგელა თავგადასავალთა გამო თავის ცხოვრებას გამორიდებული ჯეილი გახლდათ.

პლენანოველმა მოგელამ ისეთი მოკალათება იცოდა ნაირ-

გვარ ადგილებში, რომ იფიქრებდით, ყველაფერი საგანგებოდ მისი სულისა და გულისთვის მოუწყვიათო. ადგილი შეიძლება მთელი ქალაქიც ყოფილიყო და ერთი თეთრი სკამიც, ოღონდ კი, მას შერჩევა სჭირდებოდა და ამას პლენანოველი მოგელა ტანით ახერხებდა. ამიტომაც პლენანოველი მოგელა გაიფიქრებდა ხოლმე, მგონი, სხეულსა და ტვინს ერთმანეთთან ბევრი არაფერი აკავშირებთო. ამის შესახებ ოდესღაც უამბობდა ბარნოველი ლევიკო, რომელსაც ფილოსოფიური წიგნების კითხვა მოსაწყენ საქმედ არ მიაჩნდა, თუმცა, საკუთრივ პლენანოველ მოგელას ამგვარი არც ფიქრები უყვარდა და არც წიგნები.

თუკი ორი-სამი დღის გაუპარსავი იყო პლენანოველი მოგელა, კაცი იტყოდა, მობერებულაო. მისი ნიკაპის შემხედვარე ვერასგზით იფიქრებდი, ბიჭიაო, თუმცა, კაცსაც ვერასგზით დაარქმევდი; მოძრაობდა ლაღად და იმ დროებაში გახლდათ ნაზარდი, როცა მხრებანურულად დგომა და მიწაში ყურება ნამდვილ ჯეილად ყოფნას ნიშნავდა.

ეჭვეიეიი... რამდენ რამეს გამოველო პლენანოველი მოგელას გულ-ღვიძლში! რამდენი მდოგვი გამოგლესოდა სულის ყაფაზას და რამდენი შაქარყინული ეწუნა ცხოვრებაში! ამის აწონა და შეხამება, აბა, როგორ მოხერხდებოდა: განცდებს ნონა არა ჰქონიათ, თორემ, აბა, უყურე, კუზიანი მტვირთავივით ვერასოდეს გასწორდებოდი წელში, დაგედებოდა იმ ისედაც მოხრილ ბეჭებზე ზანდუკები, დეემატებოდა და დეემატებოდა, სიმონ...

როცა ამეებს ფიქრობდა ხოლმე პლენანოველი მოგელა, მთლად ფხიზლად ვერ იყო. აბა, ფხიზელს როგორ გაახსენდებოდა ბარნოველი ლევიკოს სტუდენტობისდროინდელი ნალაპარაკევი სულის და სხეულის სუსტკავშირობის შესახებ.

ცხოვრება გრძელი ყოფილაო, ეს უკვე გაერკვია პლენანოველ მოგელას, თუმცა, მის შემოკეცვას არ ცდილობდა.

პლენხანოველ მოგელას ბიჭობიდანვე უყვარდა მათრობელა ბალახები.

რახანლა ტანით შეიგრძნობდა ათას რამეს, უცხო ქალაქებშიც იოლად პოულობდა მათრობელა ბალახთა ადგილებს.

და ამ ქალაქშიც ასე იყო: პლენხანოველი მოგელა ტყვეთა მოედნის კიდეზე ჩამოდგა ათიოდე წუთს, გამვლელ-გამომვლელი ათვალიერა, მერე ერთ გრძელთმიან ბიჭს გაუღიმა და პირდაპირ ჰკითხა ხმადაბლა, მიმდობი სახით:

– ჰეი, მეგობარო, ვერ მიმასწავლი, სად ვიყიდო აქ რაიმე აკრძალული?

ბიჭმა დაუფიქრებლად მიუგო:

– ძველი ნავსადგურის შენობასთან... უფრო – სადამოსკენ.

პლენხანოველმა მოგელამ ქალაქის რუკა მოიმარჯვა, ჯიბეში მხოლოდ ოცდახუთი იქაური ფუნტი ჩაიდო, რაც, ასევე, გამოცდილი კაცის მოქცევა იყო, ვინაიდან არ ეგების უცხო წერტილზედ სავაჭროდ პირველად მისულ კაცს თან იმდენი ფული ჰქონდეს, რომ თუკი მათრობელა ბალახის ვაჭარნი ყაჩაღებიც გამოდგებიან, ნაძარცვმა გული დასწყვიტოს, და გასწია ძველი ნავსადგურისკენ.

ბალახეულით მოვაჭრენი იქ ვერ იპოვა, მაგრამ საქმიანი პარტნიორი და მეგობარი კი შეიძინა და იმის შემდეგ საჭირო რამ სათრობი აღარ მოჰკლებია. ლიმონის წვენის პლასტმასის ბოთლი კოხტად გამოხვრიტა და ნასაუზმევს იქ შეუშვებდა ხოლმე თავისი ბალახეულის კვამლს, რათა გამოხვრეტილიდან უფრო შეეტკბო.

გამოვიდოდა მერე და მოირგებდა სათვალესა და „სიტი პიაცას“ სკამებს, იჯდა და თვლემდა, თვლემდა და ფიქრობდა ათასს საფიქრალს.

საქმე სრულიად არაფერი ჰქონდა პლენხანოველ მოგელას, იმის გარდა, რომ საკუთარი სიცოცხლე უნდა გადაერჩინა და სხვათა სიკვდილ-სიცოცხლეზეც ეფიქრა. იერი კი ისეთი დაჰყოლოდა, რომ ერთი-ორჯერ, ქუჩაზედ მიმავალს,

სწრაფად წამოწეულმა ვინმეებმა მათობელა ბალახებიც კი შესთავაზეს. მოდი და გადაირჩინე სიცოცხლე, როცა ასეა.

ოღონდაც, პლექანოველ მოგელას შეეძლო შეუმჩნეველიც ყოფილიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა წვერს არ გაიპარსავდა ხოლმე და ნიკაპი მთლად მოხუცი კაცისა გაუხდებოდა.

ნასაუზმევს ფიქრ-თვლემა უყვარდა პლექანოველ მოგელას: „სიტი პიაცას“ კაფეს ტერასა საუცხოო ადგილი გამომდგარიყო ამისთვის. ძველი ქვიშებიდან სასტუმროსკენ ქუჩაზე გადმომრბენ შერუჯულ გოგოებს სირინოზებადაც კი დასახავდა ხოლმე. ქალთევზებიო, ასე იფიქრებდა და ნაჰყვებოდა თავის საფიქრალს მათობელა ბალახების მინდვრებზე. უსიზმრო ნამდვილად არ იყო: სიზმარფირების ნამდვილი ჩემპიონი გამოვიდოდა, ამაში რომ სხვა მოთრიაქეებს შეჯიბრებოდა. ოღონდაც, პლექანოველ მოგელას მაინც მარტოობა უყვარდა, მარტოობა და მდუმარება.

პლექანოველმა მოგელამ არ იცოდა ასეთი სიტყვები, მაგრამ მას ღლიდა ყოფის აუნერელი სიზოგადე. ეს ბარნოველმა ლევიკომ აღმოაჩინა ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის წინათ, როცა ერთ დროსტარებაში პლექანოველი მოგელა მთელ ოთხ საათს იჯდა ჩუმად და ოთახის კუთხეს მისჩერებოდა. მაშინ კარგა ბლომად ბალახი მოენია და ყოფა სრულიად დაეკარგა, ერთი ხანობა იმასაც ფიქრობდა, თვითმფრინავი ვარო, ჩაჯდეს ჩემში ვისაც უნდა და მთელს სამყაროს მოვატარებო. რა არის, რომ პლექანოველი მოგელას თვითმფრინავი სრულიად მარტო დაფრინავდა და მგზავრების აყვანა არაფრით გამოსდიოდა. ეს, ალბათ, ახალგაზრდობის ბრალი იყო, მერე კიდევ გამოუვიდა და იფიქრა, ძნელი ყოფილა სხვათა ტარებაო.

პლექანოველ მოგელას უკვირდა, რომ უკვე ორმოცი წლისა იყო და ისევ ცოცხალი.

ცოცხალი კი იმიტომ იყო, რომ გატრუნვა და გაუჩინარება ეხერხებოდა.

მას ამ ქალაქის რუკა ჰქონდა და უკანა ჯიბეში პლასტიკური ბარათი ედო. ამ ბარათზე ყოველი თვის პირველ რიცხვებში ოთხასი ესპერანსული ფუნტი ირიცხებოდა. ბევრი არ იყო, მაგრამ პლენხანოველ მოგელას ჰყოფნიდა: ნახევარი ბინას სჭირდებოდა, მეორე ნახევარი – ბინის გარეთა ყოფა-ცხოვრებას. ამ თანხას პლენხანოველი მოგელა ზიზლით მოიხმარდა, რადგან არ უყვარდა სხვისი ფულები და ერჩივნა ლატაკად ყოფილიყო, ვიდრე სხვისგან შენახულად, მაგრამ რახან სიცოცხლის გადარჩენას დათანხმდა, ამ ფულსაც იღებდა, ვინაიდან ქალი, რომელმაც პლასტიკური ბარათი უსაგზლა, ასე არწმუნებდა: არა შენთვის, არამედ ჩემთვისაა ეს ფული, რადგან ჩემთვის უნდა გადაგარჩინო და არა შენთვის, ჩემთვის ვაკეთებ ამასო: საზიზლარი და ყოვლად აუტანელი, მაგრამ ასეთი უცნაური და ძვირფასი ხარ ჩემთვის და შენ თუ არ გადაგარჩინე, აბა, ვინ უნდა გადავარჩინო, მაშინ ხომ უნდა ავდგე და გირვანქა საკუთარი ხორცი ცოცხლად ამოვიჭრა და მივუგდო ვენეციელ ვაჭრებსო. დიახ. და პლენხანოველ მოგელას თავისი ფულიც კი ჰქონდა: წამოსვლის წინ პაპისეული დანატოვარიდან რალაცეები გაჰყიდა კარგ ფასად.

პლენხანოველ მოგელას გულში ყოველთვის უხაროდა, რომ უყვარდათ, თუმცა, ამას არასდროს შეიმჩნევდა ხოლმე.

ერთხელაც, „სიტი პიაცას“ წინ მჯდომარემ, ჭაობისფერ შუშათა იქით მართლა წარმოიდგინა, რომ ვენეციაში, სან-მარკოს მოედანზე, ეს ქალი გამოეყვანათ და მართლა აჭრიდნენ ხორცს. თვითონ სად იყო ამ დროს, არ იცოდა, იმიტომ, რომ გამუდმებით ეკითხებოდა საკუთარ თავს, მე სადა ვარ, მე სადა ვარო.

პლენხანოველი მოგელა ვენეციაში არასდროს მოხვედრილიყო, ვაჭრის ამბავი ახალგამოსულ შექსპირულ ფილმში ენახა, სან-მარკოს მოედანი კი იქიდან იცოდა, რომ ბავშვობაში ხშირად ათვალიერებდა ბაბუის ღია ბარათების კოლექციას.

ბარათები უმეტესად შავ-თეთრი იყო და ერთ-ერთ მათგანზე ეწერა: „სან-მარკოს მოედანი, 1907 წელი“. შლაპიან კაცს ჩაემუხლა და მტრედებს აჭმევდა. ჰოდა, სანამ იმ ქალს ხორცს აჭრიდნენ ვენეციელი ვაჭრები, პლექანოველი მოგელა ეს შლაპიანი კაცი იყო და მტრედებს აჭმევდა. კიდევ კარგი, ეს ყველაფერი ჭაობისფერ შუშებს იქით ხდებოდა, თორემ როცა ვილაცხები შემოფრინდნენ და მტრედების ჟღერა დაიწყეს, პლექანოველმა მოგელამ ისე ჭყიტა თვალები, რომ მისი პლექანოველი სათვალის ჭაობისფერ შუშათა გაუვალი და საუკუნო სიმტკიცე რომ არა, გაფრინდებოდნენ მისი თვალები, როგორც საიდანლაც, კეფის მიდამოდან ნასროლი ტყუპი ტყვიები და პირდაპირ შავ ზღვაში ჩაცვივდებოდნენ. სათვალემ გააჩერა.

რამდენ რამეს აჩერებს სათვალის მინებიო, გაიფიქრა მაშინ პლექანოველმა მოგელამ. მთელ ქვეყანას აჩერებს ამდენი ხანია და ჩემს საბრალო თვალებსაც გააჩერებდა, აბა, რა იქნებოდაო, თორემ ზღვაში რა იპოვიდა ჩემს თვალებს მერეო. რამდენ ადამიანს აქვს ჩემნაირი თვალები და მოდი და ეძებე, თანაც, ერთი რომ იყოს, კიდე ხო, და ორია ეს ოხერიო.

მოკლედ, არ იწყებდა პლექანოველი მოგელა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დანიელას გადაეყარა.

ეს სწორედ იმ საღამოს მოხდა, როცა ტურისტული რუკით შეჭურვილი პლექანოველი მოგელა ძველი ნავსადგურისკენ გაეშურა მარიხუანას საყიდლად.

ძველი ნავსადგურის შენობა სრულიად უკაცური ჩანდა.

აბა, პლექანოველ მოგელას საიდან უნდა სცოდნოდა, რომ უკვე ოცდახუთი წელიწადია, ამ შენობაში არც ერთი მნიშვნელოვანი სანავსადგურე ოფისი აღარ ძევს და ამხელა სახლში მხოლოდ ნავთა გაქირავების ბიუროებია გახსნილი.

შენობის წინ იდგა გახუნებულ ყვითელ პიჟამაში ჩაცმული ქოსა იერის ბიჭი და სიგარეტს ეწეოდა.

პლექხანოველ მოგელას ტანმა უგრძნო, რომ ამ ბიჭს თავისი ყვითელი ჯიბეები სულ მარისხუნას და მისი ნათესავების კვნიტებით ექნებოდა გამოტენილი.

ძველი ნავსადგურის შენობის კედელი მოხატული იყო ნაირგვარი ზღვაოსნური სურათებით, თუმცა, ისე გადახუნებულიყო და დახავსებულიყო, რომ გამორკვევით მხოლოდ ხმლებისა და ჭოგრიტების გარჩევა შეიძლებოდა.

– ილეგალ სუბსტანსის? – მიადგა თვალის ჩაკვრით, ნაცნობი შეკითხვით და დაგუდული ხმით პლექხანოველი მოგელა.

ის, ვინც თხუთმეტი წლის ბიჭი ეგონა, ოცდაორი წლის გოგო გამოდგა, რომელსაც ნიკაპზე ფრჩხილისოდენა სვირინგი ჰქონდა, სამყურა, თუ რაღაც ეგეთი ყვავილი.

გოგოს დანიელა ერქვა და ძველი ნავსადგურის შენობასთან სულ შემთხვევით მდგარიყო. სანამ არ დაილაპარაკებდა და არ გაიცინებდა, იმის ქალობას ვერავინ დაიჯერებდა.

„რა საკაიფოთ იცინის,“ – გაიფიქრა პლექხანოველმა მოგელამ.

გოგომ მოითხოვა სამი ფუნტი მეგზურობისთვის და, თუ ტაქსით ნავიდოდნენ საჭირო ადგილას, ტაქსის ფულის გადახდაც.

პლექხანოველი მოგელა ისევ ტანის გრძნობას დაეყრდნო და ტაქსი გააჩერა.

დანიელა მეტად ნამუსიანი და ზრდილი მეგზური აღმოჩნდა. მათ ნახევარი ქალაქი გადაიარეს და იქ მივიდნენ, სადაც მოგელა აქამდე არასდროს ყოფილიყო, ყალივან სტრიტის ერთ ჩასახვევთან, რომლის იქითაც ფეხით უნდა ევლოთ.

მძლოლი გამგებიანად ილიმებოდა.

მერე ფეხით იარეს, მიუხვ-მოუხვიეს, სადღაც შეაბიჯეს, ჩააბიჯეს და იქ პლექხანოველ მოგელას მავანმა ცხვირშექყლეტილმა ჯეილმა და ცხვირში რგოლგაყრილმა დეიდამ ნამუსიანად აწონილი ბალახი ჯერ გაასინჯეს, მერე კი მიჰყიდეს ფრიად ადამიანურ ფასად.